

2002

44. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2002 წლის 28 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საერთაშორისო თანამეგობრობამ და საქართველოს პარლამენტმა არაერთგზის სრულიად გარკვევით გამოხატეს პოზიცია _ აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის პირობებში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნების იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად ცნობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სოხუმის რეჟიმი კვლავ ანგარიშს არ უწევს გაეროს, ეუთოს, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების აზრს და ა/წლის 2 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. სახალხო კრების _ აფხაზეთის პარლამენტის არჩევნები.

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ აფხაზეთში არჩევნების ჩატარების ფარსი არის მხოლოდ და მხოლოდ შორსგამიზნული ნაბიჯი, რათა გარეშე ძალების შეკვეთით შენიღბოს აფხაზეთის ფაქტობრივი უკონტროლო ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება _ ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობისათვის, ნარკობიზნესისა და ტერორიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საქართველოს ამ კუთხის ავტორიტარული მმართველობის სივრცედ გადაქცევა.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ აღნიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება, ისევე როგორც ამჟამად აფხაზეთში არსებული ვითარება, არ დარჩება გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ევროპარლამენტის მხრიდან ადეკვატური რეაგირების გარეშე.

თბილისი, 2002 წლის 28 თებერვალი
(www.parliament.ge)